# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1888

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის სააგენტოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888

[stamp]

## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი

ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ), გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (ასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

**ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## განცხადება

თანამდებობის აღმასრულებელს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლისას აქვს პატივი აცნობოს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა, რომ 1-ს მაისს ამა 1888 წლისა დაიწყება ჩვეულებრივი გუბერნიის რჩევის კრება, თანახმად 81 მუხ. IX ტ. გამ 1876 წ.

ტფილისი, 11 იანვარი

ჩვენა ვნახეთ, რომ ინგლისი ვერაფერი საიმედო სახელმწიფოა გერმანიისათვის, რადგანაც გერმანიის გაბატონებას და უშიშრად ყოფნას ევროპაში აუცილებლად უნდა მოჰყვეს გარედაც გაწევ-გამოწევა და ეს გარედ გაწევ-გამოწევა უსათუოდ დააჯახებს ინგლისსა. არის ევროპაში მეორე სახელმწიფოც, რომელთანაც კავშირი დიდად სანატრელია გერმანიისათვის და ურომლისოდ სვებედი გერმანიისა თითქმის ბეწვზედ უნდა ეკიდოს. ეს სახელმწიფო ავსტრი-ვენგრიაა.

ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ რაკი პრუსიამ ავსტრიას ხელი დააბანინა გერმანიაზედ და გამოდევნა იქიდამ, მერე შეერთებულმა გერმანიამ ავსტრიას სხვა მოედანი ანიშნა გასაძლიერებლად და სამაგიეროს ასაღებად. ეს სხვა მოედანი ბალკანიის ნახევარ-კუნძულია და აქ გერმანია, ცხადლივ თუ მალულად, ძლიერ ხელს უწყობდა და ხელს უწყობს ავსტრიასა. ამით გერმანიას ჰსურდა და ჰსურს ავსტრიას გერმანიის დაკარგვის მწვავი ტკივილი დაუამოს და დანაკარგის სამაგიეროთი გულიც მოუგოს.

ავსტრიას, დამარცხებულს და დაუძლურებულს გერმანიისაგან, სხვა აღარა დარჩა-რა, გარდა იმისა, რომ უნდა ასთრევოდა გერმანიის პოლიტიკას და იმის ნებაზედ ეარნა. ესეც მოჰხდა. 1866 წლიდამ დღევანდლამდე ავსტრია მარტო გერმანიის მაყურებელია და თითქმის მისის ბძანების მომლოდინე. ავსტრიის პოლიტიკა დღეისამდე ამ ყოფაშია.

ეს ასეთი ყოფა ავსტრიისა ძალა-უნებურია, გარემოებისაგან გამოწვეული და გარემოებაზედვე დამოკიდებული. თუმცა ამ ყოფამ ავსტრიას პირი ბალკანიის ნახევარ კუნძულისაკენ აქმნევინა, მაგრამ ავსტრიას ცალი თვალი მაინც ისევ გერმანიაზედა აქვს დარჩენილი და გულში ინახავს იმედს ისევ გერმანიაში დაბრუნებისას. ავსტრიამ კარგად იცის, რომ ერთი დრო არავის შერჩენია და მახვილით გაძლიერებული შესაძლოა მახვილითვე დაუძლურდეს და მაშინ, ვინ იცის, იქნება გზაც გაიხსნას დაკარგულის დაბრუნებისათვის.

ამ სახით ავსტრია, მინამ გერმანია ძლიერია, იძულებულია ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ მიიქცეს მთელის თავის ღონითა და თუ ვინიცობაა გარემოებამ ეგ ძლიერება გერმანიისა როგორმე შეარყია, მაშინ ბედნიერს შემთხვევას არ დაჰკარგავს და გერმანიის ისევ ხელში ჩაგდებას უსათუოდ მოიწადინებს.

ამიტომაც ავსტრიის წინაშე ორნაირნი მცდელნი არიან დღეს. ერთის მხრით თ. ბისმარკი, რომელმაც იცის, რომ უავსტრიოდ ევროპაში ბატონობა ყოვლად შეუძლებელია და ყოველს ღონის-ძიებას ჰხმარობს, ავსტრია ისე მაგრად ჩააბას აღმოსავლეთის საქმეში, რომ არც ანგარიში და არც მოცლა აღარა ჰქონდეს ოდესმე გერმანიისაკენ გამოიწიოს გასაბატონებლად.

რაკი ავსტრია ეგრე ჩაებმის აღმოსავლეთის საქმეში და გერმანიაში გაბატონების სურვილს ამ საქმეს ანაცვალებს, მაშინ არავითარი მიზეზი არ ექნება გერმანიასთან ხელი-ხელს გადაბმული არ იყოს და იმასთან ერთად და თანხმად არ იაროს. ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ყოვლად უსაბუთოდ დაჭერა ავსტრიისაგან თ. ბისმარკის საქმეა და კარგი მოზდილი ნაკტომიც არის, რომ ავსტრიას აღმოსავლეთის საქმეში კარგად შეატოპინოს. დღეს უველანი კარგადა ჰხედვენ, რომ თ. ბისმარკს ჯერ ხანად ანგარიშმა არ უმტყუნა.

მეორეს მხრით მეცადინეობენ, რომ ავსტრიას გერმანიაში ხელახლად შესვლის იმედი არ მოეკვეთოს და დაარწმუნონ, რომ თუ ევროპაში აშლა რამ მოჰხდება და ეხლანდელი იმპერია გერმანიისა დამარცხდება, შესაძლოა ავსტრიამ თავისი უწინდელი ადგილი დაიჭიროს გერმანიაში, თუ აღმოსავლეთს თავს დაანებებს და აქ სხვას დაუთმობს მოედანსა.

რა თქმა უნდა, რომ არც ერთი მხარე არაფერს არა ჰზოგავს თანხების მიცემისა და დაპირებისათვის. ჭკვიანი დიპლომატია ავსტრიისა ამას კარგადა ჰხედავს და ბოლოს გამოაჩენს, როგორ გამოიყენებს ავსტრია ამ ორპირს გარემოებას. დღეს ავსტრიას ორივე მხარე ერთსა და იმავე დროს ელაპარაკება, როგორც სჩანს. არ ვიცით, რომელის თანხები უფრო საიმედოდ ეჩვენება და ეს კია, რომ ავსტრია თითქო ცოტაოდნად გაუცივდა გერმანიას და მეორე მხარესაკენ გადიხარა. ამისი ზოგიერთი ნიშნებია. მართალია, შესაძლოა ნიშნები ნიშნად დაჰრჩეს და პოლიტიკის ქარვანი-კი თავის გზაზედ წავიდეს, მაგრამ გერმანიისათვის ეგ ნიშნებიც დიდად ჩასაფიქრებელია. გერმანია, რომელსაც ორი დიდი სახელმწიფო, რუსეთი და საფრანგეთი, ამრეზილი

## ფელეტონი

### ოთარაანთ ქვრივი

IX*)

უცნაური ნასკვი

არჩილი ახლად გადმოსული იყო რუსეთიდამ. სწავლა იქ შეესრულებინა. აღარც დედას მოუსწრო, აღარც მამას, ორივენი დაჰხოცოდნენ. მარტო ერთი გასათხოვარი და-ღა ჰყვანდა და და-ძმანი ერთად ცხოვრობდნენ. გვარიანი სახლ-კარი და მამულები დარჩათ მამისაგან და იმავ სოფელში ჰქონდათ ბინა, სადაც ოთარაანთ ქვრივი იყო.

სოფელი ძალიან ემადლიერებოდა ამ და-ძმასა. კაი ხალხიაო, ყველა ამას იძახდა, ვისაც-კი დაეკითხებოდით. ოთარაანთ ქვრივსაც ზოგიერთი კარგი ახსოვდა ამ და-ძმისაგან. თვითონ არჩილს და იმის დასაც ბევრი რამ ჰქონდათ შეტყობილი ოთარაანთ ქვრივზედ და ბევრს იცინებდნენ ხოლმე მოწონების სიცილითა, როცა-კი უცნაურის ქცევის და სიტყვა-პასუხის ამბავს ამ დედაკაცისას გაიგონებდნენ.

— პატივ-საცემი დედაკაციაო ეს ოთარაანთ ქვრივი, ხშირად უთქვამთ დასაცა და ძმასაცა და ერთი შემთხვევაც არა ჰქონიათ, რომ სიყვარულით და თავაზით არ მოეკითხნათ, როცა-კი ოთარაანთ ქვრივს შეჰხვედრიან.

არ ვიცით, ოთარაანთ ქვრივს საამურად ჰქონდა ეს თავაზიანი მოკითხვა, თუ არა. ეს-კი ვიცით, რომ როცა ამათზედ კარგს ვინმე იტყოდა, ოთარაანთ ქვრივი დაატანდა:

— ჭკუა აქვთ და იმიტომაო.

გიორგის ამბებიც არა-ერთხელ მისვლიათ და-ძმასა და არა-ერთხელ გაჰკვირვებიათ მისი ზნე და ხასიათი. ვერ გამოეცნოთ,—გლეხ-კაცობაში საიდამ და როგორ უნდა დაწნულიყო ამისთანა ზნე, ამისთანა ხასიათი.

— «ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყნიერობაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსაო», ეტყოდა ხოლმე არჩილი თავის დას ჰამლეტის სიტყვებს, როცა გიორგიზედ ჩამოუვარდებოდათ ლაპარაკი.

გამოუცნობელს გამოცანას ამით მოუღებდნენ ხოლმე ბოლოს.

— გიორგი გიახლათ, მოახსენა ერთს საღამოს მოსამსახურემ არჩილსა. არჩილი მაშინ ტახტზედ წამოწოლილი იყო და ყურს უგდებდა დას, რომელიც რაღაც წიგნს ხმა-მაღლა უკითხავდა.

— ვინ გიორგი? ჰკითხა არჩილმა.

— ოთარაანთ ქვრივის შვილი.

— მობძანდეს.

შემოვიდა გიორგი და ქუდ-მოხდილი გაჩერდა რა კარებთან, სთქვა:

— საღამო მშვიდობისა.

— აი გაგიმარჯოს, ჩემო გიორგი! უთხრა მხიარულად არჩილმა: რასა იქ? როგორა ხარ? როგორ არის შენი პატიოსანი დედა?

— რა გვიჭირს? ღვთის მადლით კარგადა ვართ.

— ამბავი, ხაბარი... რისთვის გარჯილხარ?

— ნუ მიოცებთ-კი და თქვენთან ყოფნა მწადიან.

— მოდი-და ნუ იოცებ. რისთვის? როგორ?

— როგორც გნებავდეთ: გინდათ მოჯამაგირედ გიახლებით, გნებავთ მუქთად გემსახურებით. ჩემთვის არაფერი ბედენაა.

— რას ამბობ, კაცო! ჰკითხა მართლა გაოცებულმა არჩილმა: შენის ოჯახის პატრონი და მოჯამაგირედ დგომა,—ვის გაუგონია. ან შენ ვერ გაგიგია, რა გინდა, ან მე არ მესმის, რას ამბობ.

— მე კარგად ვიცი რასაც ვამბობ, თქვენ ოღონდ ეგ წყალობა მიყავით. გული აღარ მიდგება შინ, ლამის მარტოობამ დამლიოს.

— მერე დედაშენი? იკითხა არჩილის დამ და თავისი მარილიანი თვალები მიაშუქა გიორგისა.

— დედაჩემი... დედაჩემსა სწყინს, ქალბატონო, მაგრამ ველარ გავუტეხივარ.

— აბა, ჩემო გიორგი, ჩვენ დედაშენს ვერ ვაწყენინებთ. იმისი დიდი თავაზა და ხათრი გვაქვს, უთხრა არჩილმა.

— თქვენ ეს მიბძანეთ, მამყოფებთ თქვენთან თუ არა და დედიჩემისა მე ვიცი. არ ამიხირდება... დედის-ერთა ვარ...

— მამყოფებთო!.. ორისავე ხელით, სიხარულით. შენისთანას სად ვიშოვი. განა არ გიცნობ... ეს დედაშენი მაღონებს.

— მადლობელი ვარ. მაშ მშვიდობით ბძანდებოდეთ. ამ დღეებში გიახლებით.

— ჯამაგირი?

— გინდა იყოს, გინდა არა, მოგახსენეთ, დიდი ბედენა არ არის.

— ეგ არ იქნება. მაგისი ყაბული არა ვარ. სთქვი,—რა მოგცე?

— რაც შენი ნებაა.

— ეგ არ იქნება-მეთქი, სთქვი.

— რაცა ვღირდე, ის მომეცი.

— ჩემს ნამუსზედ აგდებ რაღა?

— რა ცუდი თამასუქი ეგ არის.

— ჩემი ნამუსი რომ შენს კაი კაცობას არ გასწვდეს?!

— არა უშავს-რა!.. რაც დამაკლოთ, ალალი იყოს თქვენზედ, გულს არ დამაკლდება. მშვიდობით ბძანდებოდეთ.

ორივეს დაუკრა გიორგიმ თავი და მაშინვე გავიდა.

დამა და ძმამ ერთმანეთს შეჰხედეს.

— ეს რა ამბავია? ჰკითხა დას არჩილმა.

— არ ვიცი, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! მიკვირს და მეოცება.

— უთუოდ ფული რამ დასჭირებიათ.

— რომ არა ჰთხოულობს!..

— ეგეც-კი. ჩვენ-კი ბედი გვეწია, რომ მაგისთანა კაცი ვიშოვეთ და ოთარაანთ ქვრივს როგორღა გადვურჩებით, არ ვიცი.

— იმის უნებურად ნუ ვიქთ მაგასა: პატივ-საცემი დედაკაცია, ნუ ვაწყენინებთ.

— შენც არ მამიკვდე, დედის უნებურად მე გიორგი სახლშიაც არ შემოვუშვა, თუმცა-კი ძვირფასი კაცია ჩვენთვის.

დამა და ძმამ ცალ-ცალკეც ბევრი იფიქრეს, მაგრამ ამ უცნაურს ნასკვს წვერიც ვერ უპოვეს გამოსახსნელად.

X

მხილებაა, თუ კადნიერება?

არ გასულა ამის მერმედ ორი დღეც, რომ ოთარაანთ ქვრივი არჩილიანთას მივიდა.

*) იხ. „ივერია“ №№ 2, 3 და 4.

უყურებს, ამ ბოლოს ხანებში სულ იმის ცდაში იყო, რომ ხან ერთი და ხან მეორე გაეცალკევებინა და გაემარტოებინა. მაგრამ კოჭი ალჩუდ ვერ დაუჯდა. არავინ იცის: იქნება საქმე ისე წავიდეს, რომ თვით გერმანია დაჰრჩეს მარტოდ და ცალკედ. ამისათვის ბევრი მიზეზია და საბუთი ევროპაში. დიდებს ემძიმებათ გერმანია და პატარები ხომ სულაც ჰთრთიან, ვეშაპმა არ გადაგვყლაპოსო.

# ახალი ამბავი

*** კვირას, 10 იანვარს, ქართველმა არტისტებმა წარმოადგინეს ახალი პიესა თავ. რ. ერისთავისა — «ქაჩუა» და ორ-მოქმედებიანი ვოდევილი «ბაქი-ბუქი», ფრანგულიდამ გადმოკეთებული ქ-ნ ან. თუმანიშვილის მიერ. «ქაჩუაზე» ვერას ვიტყვით იმის მეტსა, რომ შიგ საკომედიო თითქმის არა არის-რა. «ქაჩუა», ჩვენის აზრით, მარტივი სცენებია სოფლის ცხოვრებიდამ: თოხნა, მუშური სიმღერა, ქორწილი. მოქმედება შიგ თითქმის არა არის-რა, თუ იმას არ დაუძახებთ მოქმედებას, რომ მდიდარი ახალგაზდა თავადიშვილი ლევანი სიყვარულს უცხადებს თაფლოს, ქაჩუას ხანში შესულს ქალსა, და ეხვეწება — გავიპარნეთ და ისე დავიწეროთ ჯვარიო, თუმცა-კი სცენებიდამ სჩანს, რომ გასაპარი არა აქვთ-რა, რომ თაფლოს დედ-მამა პირ-იქით შეეხვეწება ლევანს, ოღონდ იკადროს და შეირთოს იმათი ქალი. ერთის სიტყვით, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, «ქაჩუაში» სცენებია და სიმღერები. და რადგან ვერც სცენები იყო რიგზე აღსრულებული, არც შესაფერი მომღერლები იყვნენ, ქორწილმაც ერთობ უნდილად ჩაიარა და ამიტომ «ქაჩუა» სრულიად გაშლურდა ჩვენს სცენაზედ.

რაიცა შეეხება ვოდევილს, საზოგადოებამ დიდად ისიამოვნა ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის მოხდენილ თამაშით. სხვა არტისტებიც რომ ასრევე სინდისიერად მოჰპყრობოდნენ თავიანთ მოვალეობასა, შეესწავლათ თავ-თავიანთი როლები და არ გადაექარბებინათ ადგილ-ადგილ, როგორც მოსდიოდა ბ-ნს აბაშიძესა, — ვოდევილი უფრო უკეთესს ზედ-მოქმედებას მოახდენდა საზოგადოებაზედ.

*** წარსულ კვირას, როგორც შევიტყეთ, ჩვენი პატარა დრამატიული დასი დიდს გაჭირებაში ყოფილა: ქ-ნი საფაროვ-აბაშიძის ავადმყოფობის გამო კვირისათვის დანიშნული პიესა «ბედნიერი დღე» შესცვალეს საჩქაროთი და დანიშნეს «ბაქი-ბუქი»; დასის რეჟისორმა, აგრეთვე ავადმყოფობის გამო, თავი დაანება თანამდებობას. ბ-ნი კ. ყიფიანი, რომლის მონაწილეობა კვირის წარმოდგენაში დაპირებული იყო, წარმოდგენების წინად იძულებული შეიქმნა, თავის საქმეების გამო, უარი ეთქვა თამაშობაზე. დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ ყველა ღონის-ძიება მიიღო, რომ კვირას წარმოდგენა უთუოდ მომხდარიყო. ეხლა, როგორც ამბობენ, ზემოხსენებული და ზოგიერთი სხვა დაბრკოლება მოშორებულია და დასი ხელ-ახლად თავის კვალში ჩადგაო.

*** დრამატიულ საზოგადოების მმართველობა აპირებს გამართოს თებერვალში ბალი ცოცხალის სურათებით.

*** 10 იანვარს ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში შესდგა აქტი. დირექტორმა წაიკითხა წლიური ანგარიში 1887 წ. და ჩამოთვალა სწავლა-შესრულებულთა გვარები. შემდეგ დაურიგეს ატესტატები და მოწმობები. ქართველთაგან ატესტატი მიიღეს ყანჩაველმა და თოიძემ, პირველმა ატესტატი ოსტატისა და მეორემ თანაშემწისა; რუსთაგან — ლუკიანოვმა, შკალიკოვმა და მიხაილოვმა, სამივემ — ოსტატის თანაშემწისა; სომეხთაგან — ნავასართოვმა, არუთინოვმა, გუნიატიანმა და ეხტიანმა. ამათში პირველმა — ატესტატი ოსტატისა, დანარჩენთ — ოსტატის თანაშემწისა. რადგანაც სხვა მოსწავლეთა ნამუშავარი ვერა სცნეს ჯეროვან ღირსებისა, ამისათვის იმ მოსწავლეთ მოწმობები დაურიგდათ.

*** შაბათს სალამოზედ ქართულ თეატრში ბ-ნ ფორკატის გამართული ჰქონდა საყმაწვილო სალამო, რომელზედაც დაესწრო საკმაო რიცხვი ბაშვებისა. უნდა შევნიშნოთ, რომ სალამო ვერ იყო მაგრე რიგად მისაზიდი. არც საკითხავები და არც სიმღერები იყო საყმაწვილო. საუცხოვო იყო მხოლოდ იმპროვიზაცია თვით ფორკატისა, რომელსაც ამოეგლიჯა კრილოვის სხვა-და-სხვა იგავებიდამ ცნობილი ადგილები, გადაება ერთი-ერთმანერთზედ და ერთი რაღაც სასაცილო დომხალი შაედგინა. ყმაწვილებმაცა და დიდებმაც ბევრი იცინეს ამ მოხერხებულ იმპროვიზაციაზე.

*** ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი სომხური საისტორიო თხზულება. ამ თხზულებაში მოთავსებულია წერილები საქართველოსა და სომხეთის შესახებ. წერილები დაუწერია მალაქია (მაღაქია) ბერსა. ეს ბერი ჩინგის ხანის დროსა ცხოვრობდა. საქართველოს აღწერაში ბევრი ისეთი საინტერესო ცნობებია, რომელიც ქართლის ცხოვრებაში სრულიად არ მოიპოვება. ამიტომ საინტერესო იქმნება, რომ ამ ისტორიულ წერილის ქართულად გადმოთარგმნას ხელი მიჰყოს ვინმემ.

*** აი ერთი საბიბლიოგრაფიო ამბავი კიდევ: პოლკოვნიკ ლ—ვს აქვს ერთი ხელთ-ნაწერი, სომხური ძველი წიგნი, რომელიც დაწერილია მეთვრამეტე საუკუნეში. ამ აღწერაში სხვათა შორის მოთავსებულია სია ქართველთ კათალიკოზებისა. სია შეიცავს მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნის ნახევრამდის ნამყოფთ ქართველთ კათალიკოზთა. სახელებს ეს სია ქართულად გადმოულიათ კიდეც.

*** ქუთაისი: 7 იანვრისათვის, როგორც ამას წინად გწერდით, დანიშნული იყო ქუთაისის თვით-სამართველოს პირველ რიგის ხმოსნების არჩევანი. არჩევანი შესდგა, ამომრჩეველნი გამოცხადნენ და ხმოსნებად ვინ აირჩიეს, ეს ივერიის წინანდელს ნომერში იყო მოხსენებული.

არჩეულთა შორის წინად ხმოსნებად ნამყოფნი არიან სულ შვიდნი, დანარჩენნი ხუთნი — ელიგულაშვილი, ადანაია, კემულარია, აკოფოვი და შნეიდერი ახლები არიან.

ამ თორმეტს კაცში პირველ რიგის თვრამეტ ამომრჩეველთაგან ხმოსნებად არჩეულები არიან: ორნი დადიანი და თუმანოვი) აქაურ ბანკების მმართველნი, ერთი (ბაქრაძე) მსაჯული, ერთიც (ასათიანი) დღევანდელი ქალაქის თავი, ერთიც ვასილ სტეფანიჩი, გვარიანია და კარგის მემკვიდრეობის პატრონი გახლავთ, და დანარჩენნი სულ ვაჭრები და სხვანი.

როგორც ხედავთ, ამ თორმეტს კაცში განათლებულ დასისაგან არიან მარტო ოთხნი.

ყველაზე უფრო შესანიშნავი და გასაკვირველი ამ არჩევანისა ის გახლავთ, რომ პირველ ხმოსნად, რომელმაც ზოგიერთ შემთხვევებში საბჭოს სხდომებზე ქალაქის თავის მაგიერ უნდა ითავ-მჯდომაროს, აირჩიეს ისხაკა ელიგულაშვილი...

ზოგნი ამ არჩევანებით კმაყოფილნი არ არიან; როგორც ისმის, არც ასე გათავდება საქმეო. ამ პირველს არჩევანზედ ზოგიერთის კანონების და არჩევანის წესების დარღვევის გამო გამგეობაში საჩივარი შეუტანიათ და ზოგიერთნი იმედოვნებენ, რომ ეს არჩევანი დაირღვევაო და ხელ-ახლად დაინიშნებაო. აბა მაშინ ნახეთ, რა ამბავი მოხდება!

მომავალ ორშაბათს (11 იანვარს) გახლავთ მეორე განყოფილების არჩევანი.

*** ვაზიანის სადგურთან, კახეთის გზაზედ, ხუთი თათარი, შეიარაღებული თავიდამ ფეხამდე, პიბოდის თოფებით ხელში, დასცემიან მგზავრებს და გაუცარცვავთ: შვიდი ფურგუნი, რამდენიმე ცხენოსანი და ქვეითი ხალხი. ერთის გლეხისათვის წაურთმევიათ ოც-და-თექვსმეტი თუმანი ფული. სხვებისათვის აუხსნიათ ქამარ-ხანჯალი, ჩოხები და წასულან.

*** გორი: გორის ხელოსნებმა აგერ რამდენიმე თთვეა თავიანთ თავად, ე. ი ხელოსანთა უფროსად, აირჩიეს აქაური დალაქი გიორგი პავლიაშვილი. თუმცა ბინადრობით აქაური არ არის, მაგრამ დიდი ხანია, რაც გორში ცხოვრობს და ხელოსნობს. გორის ხელოსნებს ძალიან კარგი არჩევანი მოუვიდათ. გ. პ—ი ცნობილია როგორც პატიოსანი, მართალი, პირდაპირი და უანგარო კაცი. მგონი ეს პირველად ირჩევენ გორში ხელოსანთა უფროსად ქართველსა. ალბად დაიმსახურა პატივი და სიყვარული დაბალ ხალხისა, თორემ ძნელი იყო უფროსად მოჰყოლოდა ბ-ნი პ—ი, ძნელი იყო უფრო იმიტომ, რომ სრულიადაც გულში არ უდევს პირველობა და არცა ცდილობდა სხვა გაიძვერაებისავით თავისის თავის არჩევანზე. გორის სახელოსნო გამგეობის საქმე, როგორც ვიცით, აწეწილ-დაწეწილია, ბევრი ჩაფუჩეჩებული საქმეა, ბევრიც მაუდს ქვეშ ამოდებული, და სრული იმედი აქვს ხალხსა, რომ ბ-ნი პ—ი გაასწორებს საქმეებს, უანგაროდ მოიქცევა და გაამართლებს ხალხის იმედსა!

---

— ო, ნათლიდედ, ნათლიდედ! მობძანდი, დაუძახა შორიდამვე არჩილმა, როცა ოთარაანთ ქვრივს თვალი შეასწრო. და-ძმანი ძირს ეზოში ისხდნენ დიდ ფურცელ ქვეშ და დილის ჩაის შეექცეოდნენ.

— დილა კარგა ყოფნისა, — მიესალამა ოთარაანთ ქვრივი, როცა ახლოს მივიდა.

არჩილი წამოხტა, ოთარაანთ ქვრივს მიართვა თავისი სკამი და მიიწვივა დასაჯდომად.

— დაბძანდი, დაბძანდი. კესო, ნათლიდედას ჩაი მოართვი, უთხრა არჩილმა თავის დასა.

— ჩაი რა ჩემი საქმეა, თქვენ შეექცით, მე უმაგისოდაც გავძლებ. ქალო, როგორ გიკითხო? ხომ მშვიდობითა ბძანდები? მოიკითხა ქალი ოთარაანთ ქვრივმა და ჩამოსკუპდა სკამზედ.

— ვართ შენის ლოცვითა და კურთ...

— მე ჩემთვისაც არა ვლოცულობ, ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი, და თქვენთვის სად ვილოცებდი, — უთხრა მკვახედ ოთარაანთ ქვრივმა და სიტყვა მოუჭრა.

— ჰა, აგრა არ აუშვა შენებურად, უთხრა ღიმილით ქალმა და, თითქო მახლობელი მოყვარეაო, თავაზიანად ხელი დაჰკრა კალთაზედ, თავის სკამიდამ ლამაზად გადაწვდილმა.

ოთარაანთ ქვრივი შეიჭმუჭნა. როგორღაც ეხამუშა, ეუცხოვა ამისთანა ტოლ-ამხანაგური ქცევა ახალგაზდა ქალისაგან: მე ვინა და ეს გუშინდელი ძუძუთა ვინაო, იფიქრა. მიუხვდა-კი, რომ კესო აფრთხილებს და ისე-კი, რომ საწყენად არ დაურჩეს.

— ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერუმარილი რა საჭიროა, უთხრა ქალს ოთარაანთ ქვრივმა ცოტა არ იყოს მწყრალად.

— ეგ რაზედა სთქვი?

— იმაზე, რომ შენ ჩემს სიტყვა-პასუხს შეუშინდი და გაფრთხილება გინდა ჩემი. მიხვევ-მოხვეულს სწორე სჯობია.

— მკვახედ იცი ლაპარაკი და კაი დედაკაცი-კი ხარ.

— შენც რომ ჩემი დღენი გამოგევლო, ჩემს ტაფაში დამწვარიყავ, შენც ეგრე ილაპარაკებდი. ან სხვაფრივ ლაპარაკი რა საჭიროა? ადამიანს ვარამი და ჭირიალაპარაკებს. ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა: მეტი ბარგია. ლხინს რა ლაპარაკი უნდა? ძაღლს რომ უხარიან, კუდის ქნევითაც იტყვის ხოლმე.

— ე... ე... ე! თქვენ მე ვიცი პატარა ხანს უკან ქვასაც ჩამოურევთ, ჩაერია არჩილი: ნათლიდედა საქმის დედაკაცია, რა ემასლაათება? არა, ნათლიდედ?

— რატომ? ზოგან თქმაც კარგია.

— შენ ხომ მაგისათვის არ მოხვიდოდი ჩვენთან; საქმე რამ გექნება, უთხრა ხელ-ახლად არჩილმა.

— მართალია, უსაქმოდ არ მოვსულვარ.

— ბძანე: შენი ხმალი და ჩემი კისერი.

— ჩემს ვიორგის თქვენთან დგომა უნდა.

— ვიცით და შენ მოგერიდენით. შენი დიდი ხათრი გვაქვს და ხათრს ვერ გაგიტეხთ. შენს უნებურად ეგ საქმე არ მოხდება.

— ჩემი ნებაც არის. ჩემი შვილი ჯერ მე დამეკითხა. მეწყინა, მაგრამ დაშლა აღარ ეგებოდა. მცხვენიან, კაი ოჯახის შვილია, კაი მამის ჩამონავალია. ვთაკილობ და გვიანღაა წუწუნი: ვერ გავტეხე, ვერ ავუხირდი. დეე რაც საქმნელია, იქმნას.

— თუ ეგრეა, უარს მე ვეტყვი, უთხრა არჩილმა: შვილი შენისთანა დედას როგორ არ უნდა ჰნებდებოდეს!..

— ნუ, ნუ!.. ნუ ეტყვი უარს. მე დედა ვარ და წამავალი, ის შვილია და მომავალი; მე მივდივარ, ის მოდის. იმისი დღენი გასავლელი მინდორია, მე-კი ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ, ის თავში. წინ ვერ აღვეფარები.

— მითომ რა გაჭირებაა, თუ შენი საამური არ არის? იკითხა კესომ.

— გაჭირება რას მიქვიან? სურვილია, იღბალია... ჯერ დაუდუღარი მაჭარია და ბუყბუყებს. დაუდუღარს მაჭარს სარქველი არ დაეხურება, ჭურჭელს გაჰხეთქს. დეე თავის ნებაზედ იყოს. მე არ ვუშლი, რაკი თითონ არ იშლის.

— რა-კი ესეა, ისე შეგინახავ შვილს, მტერიც-კი შენატროდეს, უთხრა არჩილმა.

— მაგას არ წავეხარბინები. ის თითონაც კარგად შეინახავს თავის თავს, ისეთის მამის შვილია, უპასუხა ოთარაანთ ქვრივმა: ეჰ, კარგი იქნებოდა სასხვისოდ არ გაეხადნა თავი, მაგრამ რაც არის, არის!..

— ახლა, — შენ რომ მარტო დარჩები? იკითხა კესომ.

— მარტო რად დავრჩები? ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე რამდენი ბღარტები მიზის. ჭირადაც მეყოფიან და ლხინადაც.

— აკი ნათლიდედამ მიხვევ-მოხვევა არ იცისო? აკი პირდაპირ თქმა უყვარსო? მე აქ არა მესმის-რა, სთქვა არჩილმა და შეხედა დას, თითქო იმას ეკითხებაო.

— მიხვეულ-მოხვეული რა ვსთქვი? ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტო-ხელისა. წუთი-სოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ.

— მართალი გინდოდა და ეგეც მართალი, უთხრა კესომ ძმას უწყინარობის ღიმილითა.

— ნათლიდედა სიტყვას მარტო ეკლადა ჰხმარობს, — მითამდა გაიხუმრა არჩილმა, მაგრამ ვაი ამ ხუმრობას!..

არჩილი წამოდგა ფეხზედ, ტანში გაიმართა, თითქო რაღაცამ დაუჭიმა ძარღვებიო, — ჩაიწყო ჯიბეში ხელები და მოჰყვა წინა და უკან სიარულს. მერე მივიდა, წინ დაუდგა კესოს და ჰკითხა რუსულად:

— როგორ გგონია? წინ დახედული მხილებაა, თუ წინდაუხედავი კადნიერება?

— შენ მართალი ხარ, უპასუხა დამ რუსულადვე: ერთი ჭკუამ იცის და შესაწყნარებელია, მეორე ურცხვობამ დი საწყენია. მე პირველი მგონია.

არ ვიცით ძმამ დაიჯერა თუ არა დის სიტყვა, ამას-კი ვიტყვით, რომ არჩილი ამის შემდეგ მივიდა ოთარაანთ ქვრივთან მხიარულის სახითა და მართლის გულით უთხრა:

— ბრძენი დედაკაცი ხარ, ნათლიდედ, ბრძენი!...

სხვა დროს იქნება ერთი თავისებური მკვახე სიტყვა ეტკიცა ოთარაანთ ქვრივს ამ ქებისათვის, მაგრამ ეხლა-კი გაუჩუმდა. მერე თვითონაც უკვირდა, ნეტა ენა რამ დამიბაო.

ილია ჭავჭავაძე

(შემდეგი იქნება)

14
ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ გაზეთ «ივერიის» საშუალებით ჩვენი გულითადი მადლობა გამოუცხადოთ აზნაურს სპირიდონ ლევანის ძეს ნორაკიძეს, რომელმაც თავისის მეცადინეობით დააარსა დ. ზუგდიდში, წარსულ დეკემბრის თვეში, სახალხო-საამხანაგო ქართული წიგნთ-საცავი, რომელიც შესდგება სხვა-და-სხვა ახალ და ძველ ნაწერებისაგან.

ამ ჟამად წიგნთ-საცავში 74 წიგნია; ხოლო ამდენივე მეტიც მიეცა ყდის გასაკეთებლად. იმედი გვაქვს, რომ ნორაკიძე შემდეგშიაც არ დაიშურებს თავის შრომას და უფრო გულ-მხურვალედ მოჰკიდებს ხელს ამ ფრიად სასარგებლო საქმეს.

მღვდელი გაზა ჯიქია,
აზნაური ბეგლარ ლიფონავა.
დ. ზუგდიდი

# უცხოეთი

ბოლგარია. ბერლინიდგან სწერენ გაზეთ «Times»-ს, ვითომ სახელმწიფოთა შორის მორიგება ჩამოვარდნილა იმის შესახებ, რომ ბოლგარიის საქმე მალე დაბოლოვდეს. ამბობენ, ვითომც ოსმალეთს ურჩიეს, რომ ბოლგარიის საქმეში ჩაერიოს და უბრძანოს პრინცს ფერდინანდს ტახტიდგან გადადგომა. იწერებიან, რომ ოსმალეთმა მიიღო ესეთი რჩევაო.

იმავე გაზეთს სწერენ სოფიიდგან, რომ პრინცმა ფერდინანდმა შეჰკრა სამხედრო საბჭო, რომელზედაც ლაპარაკი ჰქონდათ იმაზე, რა ღონის-ძიება იხმარონ იმ შემთხვევაში, თუ ვინმე თავს დაესხა ბოლგარიას. საბჭომ, რომელზედაც დაესწრნენ ჯარის უფროსები, დაადგინა, რომ საჭიროა ბრძოლა უკანასკნელს სისხლის წვეთამდე, რაც უნდა ძლიერმა სახელმწიფომ შემოდგას ფეხიო.

ინგლისი. ლონდონში ამბობენ, რომ მარკიზ სალისბერი ცუდის თვალით უყურებს ჩერჩილის მოგზაურობას რუსეთში. სალისბერი გულ-მოდგინე მომხრეა ინგლისისა და გერმანიის კავშირისაო.

გერმანია. ფრიდრიხსრუედგან იუწყებიან, რომ თავადი ბისმარკი ისევ ავად გამხდარა გარდამეტებულის შრომისაგან. ბერლინიდგან დაუბარებიათ ექიმი, პროფესორი შვენინგერი.

გერმანია ძალიან მოწადინებულია გაამგერმანელოს პრუსიის პოლშელი პროვინციები, მაგრამ მართებლობის წადილს სხვა-და-სხვა არა უმნიშვნელო დაბრკოლება ხვდება ხოლმე. იმ წამსვე, რა წამსაც პირველ დაწყებითს სკოლებში აღკრძალულ იქმნა პოლშურის ენის სწავლება, პოზნანში დააარსეს მრავალი კერძო სკოლები პოლშურის ენის სასწავლებლად. ორი ამ გვარი სკოლა მთავრობამ უკვე გააუქმა. პოზნანის სამღვდელოებას, რომელიც მტკიცედ იცავს საკუთარს ეროვნებას, დიდი იმედი ჰქონდა იმისა, რომ არქიეპისკოპოსი დინდერი გამოესარჩლებოდა პოლშელებსა, მაგრამ დინდერი მიემხრო პრუსიის მთავრობას. დინდერის საქციელმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სამღვდელოებაში. გაზეთები ძალიან ჰკიცხავენ არქიეპისკოპოსს, რომელსაც ამას წინად ხალხმა ქვა დაუშინა ქუჩაში.

იტალია. იტალიის მართებლობა ამზადებს თორმეტ ათას ჯარის-კაცს აბისინიაში გასაგზავნად. ნახევარი ამ ჯარისა უკვე მზად არის. თუმცა მეფე ჰუმბერტმა ახალ წლის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა, რომ იმედი მაქვს აბისინიის საქმეს მალე დავასრულებთო, მაგრამ, როგორც იწერებიან, ეს იმედი საეჭვოა. სამხედრო სამინისტრო სთხოვს პარლამენტს სესხად 30 მილლიონ ფრანკს. ზღვათა სამინისტრო პირობით შეეკრა კერძო სანავოსნო ამხანაგობათა, იმის თაობაზე, რომ ამ ამხანაგობათ მთავრობას დაუთმონ თავიანთი გემები, რომელთაც მთავრობა სამხედრო გემებად გადააკეთებს.

ამ წლის განმავლობაში უნდა შეიარაღდეს რამდენიმე ახალი ჯავშნიანი გემი.

ავსტრო-ვენგრია. პრაგაში დაუმტკიცებიათ კანონ-პროექტი იმის თაობაზე, რომ ხაზინიდგან შემწეობა მიეცეს გერმანულს და ჩეხურს თეატრებსა: პირველს—52,000 ფლორინი, მეორეს—65,000. ამ გვარი შემწეობა, ყველას აზრით, აუცილებლად საჭიროა, და მართლადაც ამ კანონ-პროექტის წინაამდეგ არავის ხმა არ დაუძრავს.

# წვრილი ამბები

— საზღვარ-გარეთის გაზეთები იუწყებიან, რომ უმთავრესს პატრონს ლონდონის გაზეთ «Times»-ისას, ჯონ ვალტერს, იმის გამო, რომ ასი წელიწადი შეუსრულდა ზემოხსენებულს გაზეთს დაარსებიდგან დაწყებული, პერის ღირსება მიეცემაო.

— გერმანიის მემკვიდრე პრინცს ყველა თავის ექიმებისათვის საახალწლოდ საჩუქარი დაურიგებია: მაკენზის მიუძღვნა სადოსტაქრო იარაღი, კრაუზეს—ბრილიანტის ქინძისთავი, შრედერს—ორი იაპონური ვაზა, ბერგმანს—სუფრის ვერცხლის სამკაული 24 კაცისათვის და შმიდტს—ოქროს საწერელი.

— «ნიუ-იორკის სავაჭრო გაზეთი» მოგვითხრობს, რომ აქაურმა თამბაქოს ფაბრიკამ კინნეიმ და ამხ. თავის მოსიარულე აგენტისათვის, ბ-ნ ვილლისათვის, გააკეთებინა რკინისგზის ვაგონი, რომლითაც ვილლის შეუძლიან რკინის გზის ყველა ლიანდაგებზე იაროს ამერიკის თავიდგან ბოლომდე. ვაგონის კედლებზე გარედგან დახატულია ფირმა ამ თამბაქოს ფაბრიკისა. თვითონ ვაგონს სამი განყოფილება აქვს: ვაგონის ერთს ბოლოზედ მოთავსებულია კაბინეთი და საწოლი ოთახი ბ-ნ ვილლისა და იმის მეუღლისათვის; შუათანა ნაწილი ვაგონისა უჭირავს საქონელს, რომელსაც გზა-გზა ურიგებს მოვაჭრეებს; მესამე განყოფილებაში-კი დაბმულია ცხენი, რომლითაც მოსიარულე აგენტი ინახულებს ხოლმე იმ მოვაჭრეთ, რომელნიც რკინის გზის ლიანდაგზე შორსა დგანან.

— ფოსტის ძველ მარკების შემკრებელთა საყურადღებოდ იუწყებიან, რომ პარიჟში თითო მავრიკის კუნძულის მარკაში, რომელიც-კი 1847 წლისაა იქმნება, 1,750 მანათს აძლევენო.

— პენსილვანიის მდიდარს ქვა-ნახშირის მადნების პატრონს, ირა ტრიპპს, რომელიც ეხლა 80 წლისაა, 60 წლამდე საშინლად უყვარდა თურმე სიგარის წევა, მთელი დღე სიგარა ეჭირა პირში და არ იშორებდა. ბოლოს საშინლად ავად გახდა და ექიმებმა ურჩიეს, რომ თუ სიკვდილი არ გინდა, სიგარის წევას თავი დაანებეო. ამის გამო ირა ტრიპპმა, რათა გადაჩვეულიყო წევისაგან და არც გავანის სიგარის ბოლით სიამოვნებას მოჰკლებოდა, დაიჭირა თურმე ერთი ზორბა ზანგი. ამ ზანგის მოვალეობა ის არის, რომ მთელი დღე სიგარასა სწევდეს და პირში უბოლებდეს თავის პატრონსა.

— ვიღაც ფრეი, რომელიც პარიჟის უმაღლეს წრეებში იყო მიღებული და თავის თავს «საზღვარ-გარეთის გაზეთების კორრესპონდენტს» არქმევდა, დაუპატიმრებიათ ამ დღეებში იმის გამო, რომ ბალზე ცეკვის დროს ერთს ქალს ძვირფასი ნივთი მოჰპარა თურმე და უნდოდა გაეყიდნა. გამოძიების დროს ფრეის უთქვამს, რომ ეს ძვირფასი ნივთი იმ ქალბატონის გოგომ მომცაო.

— ამას წინად პარიზის გამოსულს წიგნს «Napoléon I et son temps»-ში მოყვანილია საბუთები, რომ ბონაპარტთა გვარეულობა გერმანულ შთამომავლობისაა. მე-XI-დგან მე-XIV საუკუნემდე გენუაში დიდს პატივსა სცემდნენ ერთს გერმანულს ოჯახობას, გვარად კადოლინგებს. ამ ოჯახობას თავისი საკუთარი დასი ჰყავნდა, ემხრობოდა მეფეს და ამის გამოც ეძახოდნენ «buona parte»-ს (კარგი დასი). ეს სახელი საუკუნოდ შერჩათ კადოლინგებს, თუმცა ძალა დაეკარგეს მაშინ, როცა ლიბერალთა დასს მიემხრნენ. ზოგიერთნი წევრნი ამ ოჯახობისანი გადასახლდნენ კორსიკაში და და იქ ყოველთვის ბუონაპარტეს სახელს ატარებდნენო. ამ გადასახლებულ კადოლინგების მოდგმისანი არიან ნაპოლეონ I-ცა და ყველა ეხლანდელი ბონაპარტელებიცაო.

# გასართობი

ლონდონში ამას წინად ერთი სასაცილო საქმე გაურჩევია სასამართლოს. ბრალდებულად მზარეული დედაკაცი ყოფილა. პატრონს ამ მზარეულისას, მისტერ პერკინსს, შობის წინა კვირეში უთქვამს იმისთვის, რომ დღესასწაული დადგება თუ არა, იმის მეორე დღესვე დაგითხოვო. ამასობაში სწორედ შობის მეორე დღეს სტუმრები მიუწვევია და, ამ გვარად, მზარეული დედაკაცი ისევ დაუნარჩუნებია საჭმელების მოსახარშად. ამაზედ გამწყრალს მზარეულ დედაკაცს მაგიერი გადაუხდია იმით, რომ საჭმელების მირთმევა ბოლოდგან დაუწყია, ე. ი. რაც პირველში უნდა მიეტანა, ის ბოლოს მიურთმევია, და რაც ბოლოს—ის პირველში: პირველად ტკბილეულობა მიუტანია. რასა თქმა უნდა, რომ ამისთანა საქციელს მზარეულისას ძალიან გაუბრაზებია მისტერ პერკინსი და საჩივარიც შეუტანია მზარეულ დედაკაცზე. სასამართლოში შურის-მაძიებელს მზარეულს უთქვამს, რომ მე არაფერი ბრალი არა მაქვს, ჩემი მოვალეობა პირ-ნათლად შევასრულე, რადგან შინ დავრჩი და საჭმელები მოვამზადეო; რაც შეეხება მირთმევას და სტუმრებთან მიტანას, ამისთვის ვერავითარსამე სასჯელს ვერ დამადებთ, რადგან არც ერთის კანონის მიერ არ არის ნაჩვენები, თუ რა რიგით და წესით უნდა მიირთვას ადამიანმა საჭმელიო. სასამართლოს გაუმართლებია მზარეული დედაკაცი.

**

საკვირველი ამბავი მომხდარა ამას წინად ნორვიჩის ბაპტისტთა ეკკლესიაში. ღვთისმოსავი საზოგადოება შეიკრიბა თურმე ეკკლესიაში სალოცავად და ღვთის სათაყვანებლად. მოძღვარმა ქადაგება დაიწყო და ის იყო მრევლი ჩათვლემას აპირებდა თურმე, რომ ამ დროს მთელს ეკკლესიაში დადგა საშინელი სუნი, რომელიც თან-და-თან ძლიერდებოდა, თან-და-თან მატულობდა. თუმცა ეს სუნი ჯოჯოხეთიდგან ამოსულის გოგირდის სუნი არ იყო, მაინც მოძღვარი და მრევლი იმ აზრისანი იყვნენ თურმე, რომ ადამიანის სახით ეკკლესიაში ტარტაროზი შემოსულაო; უმეტესობა მლოცველთა მაშინვე გამოსულა ეკკლესიიდგან. გამოძიების და გამოკითხვის შემდეგ აღმოჩენილა, რომ ტარტაროზი-კი არ შესულა ეკკლესიაში, პატარა ეშმაკი შეპარულა და ცუდი სუნი გაუვრცელებია ცელქობით. ეს პატარა ეშმაკი ამერიკელი პატარა ბიჭი ყოფილა. ამ ცელქს ბავშვს თავის გართობა სდომებია და საკმევლის მაგიერ გახურებულს რკინის საცეცხლურზედ ორი გირვანქა ლიმბურგის ყველი დაუდვია. ვინც ამ ყველის საშინელი სუნი იცის, წარმოიდგენს, როგორ უნდა აყროლებულიყო მთელი ეკკლესია.

# საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

წერილი მეათე

Hotice sur le livre de Barlaam et Joasaph-ი. წერილი B. P სა ამ წიგნის შესახებ.

(დასასრული*)

წმ. ექვთიმემდის ქართველებს ჰქონდათ მრავალი თხზულებანი და ამ დროს-კი ქართული ენა იმდენად «inculte»-ი (განუვითარებელი) არ იყოვო, რომ მასზედ შეუძლებელი ყოფილიყო გამოთქმა რომანის აზრებისა და იდეიებისაო. ამ აზრის დასამტკიცებლად ავტორს მოჰყავს ცნობანი ბ-ნ ცაგარლის წიგნიდამ «Свѣд. о памят. груз. письм.». ამ წიგნში არის მოთხრობილიო, რომ წმ. ექვთიმეზე ბევრით ადრე ქართველებს ჰქონიათ გადმოთარგმნილი მრავალი თხზულებანი და წმიდათა ცხოვრებანი. ქართულ ლიტერატურის დასაწყისად ბ-ნ ცაგარელს მიაჩნია მეხუთე საუკუნეო**). ქართულს ძველს ლიტერატურას (მე-V—XII ს.) იგი ჰყოფს ორ ხანადო: მოსამზადებელად (V—IX ს.) და კლასიკურად (X—XII ს.). პირველ ხანაში სამწერლო მოღვაწეობის ბუდედ საქართველოში ითვლებოდნენ: ა) მონასტერნი ათ-ცამეტთა მამათაგან დაარსებულნი (მე-VI ს.), ბ) სამცხის სავანენი (VIII—IX ს.) და გ) მეფეთა და კათოლიკოზთ სამყოფელნი; გარეშე საქართველოისა: პალესტინაში: მონასტერნი, მოგზაურთათვის თავ-შესაფარნი, დაარსებულნი მე-V ს. ქართველთ მეფის ძე მურვანოზისაგან (წმ. პეტრესაგან), საბას ლავრა (მე-VII—IX ს.), სინა (მე-VII ს.), ოლიმპი საბერძნეთისა, კონსტანტინეპოლი და აგრეთვე ქართველთ მონასტერნი სირიასა და ტრაპეზუნტს.

რაიცა შეეხება ექვთიმეს, იგი ისეთი შესანიშნავი მოღვაწე ყოფილა, რომ ქართულს ენაზე გადმოუღია 57 სხვა-და-სხვა შინაარსის წიგნი.

მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო შესანიშნავი და საყურადღებოა ის საბუთი, რომ რომანის ვენეციის ხელნაწერის სათაურში პირდაპირ არის ნათქვამი ქართულიდგან ბერძნულად წმ. ექვთიმეს გადმოუთარგმნია რამდენიმე წიგნიო. ამასვე მოგვითხრობს თვით ქართული—წმ. იოანესი და ექვთიმეს „ცხოვრების აღწერა“, საცა სწერია, რომ წმ. ექვთიმე ცნობილი იყო არა თუ მარტო საქართველოში, არამედ საბერძნეთში, რადგან ქართულიდგან ბერძნულს ენაზე გადიღო «ბალავარი» (საფუძველი), «აბუკურა» და რამდენიმე სხვა წიგნი.

*) იხ. „ივერია“ № 4.

**) აქ ჩვენ ჩვენის მხრით აღვნიშნავთ ერთს ფრიად საყურადღებო გარემოებასა. ვახტანგ გორგასლანის დედის—საგდუხტის ბრძანებით მეხუთე ს. პირველ ნახევარში გადმოუღიათ ქართულს ენაზე სახარება. საგდუხტ დედოფალს მოჰგვარეს კაცნი სჯულის მეცნიერნი და „უთარგმნეს სახარებაჲ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“ (ქართ. ცხოვრ. გვ. 110).

ე—მ

სიტყვამ «ბალავარი» ეჭვში შეგვიყვანაო, განაგრძობს ვ. რ. რომანის თათრულ თარგმანის სათაური ბ-ლ-ვ-ჰ-რ უდრის ვარლაამს და ბალავარი უფრო მიემსგავსება ბ-ლ-ვ-ჰ-რ-ს, რომელიც არაბულად აღნიშნავს ღირსებას «ყოველის დიდებულისას მეუფეთა შორის». აგრეთვე სიტყვა აბუკურა საფიქრებელია, რომ ჰნიშნავდეს იოასაფს (ბუდ-ს-ფ).

რაც უნდა იყოს, მაინც ჩვენ უნდა გვრწამდეს, რომ ა) ეს რომანი ქართულს ენაზე შეიძლებოდა ადრე დაწერილიყო, ვიდრე ბერძნულზე და ბ) წმ. ექვთიმეს შეეძლო გადაეღო ქართულიდამ ბერძნულად. რომანი ძველადვე შეიძლება დაეწერნათ წმ. საბას ლავრაში, იქიდგან შემოსულიყოს საქართველოში და წმ. ექვთიმეს-კი იგი, იმ გამშვენებულის და გალაზათიანებულის სახით, როგორიც ეხლაა, გადაეთარგმნოს ბერძნულს ენაზედ.

რაიცა შეეხება იმ საგანს, რომ რომანში არსად არ არის მოხსენებული მაჰმადის სჯულიო, ავტორის აზრით, იმით აიხსნება, რომ ექვთიმეს, თარგმანის დროს, საჭიროდ არ უცვნია ჩაემატებინა თავისით არაფერი ისეთი, რაიცა შესცვლიდა რომანის აზრსა.

ჩვენ ჩვენის მხრით ვინატრებთ, რომ ძველის მწერლობის მოყვარეთ მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ამ გარემოებას. იქნება სადმე, ვისსამე სახლში, ან სადმე მონასტრის წიგნთსაცავში, არსებობდეს ქართული პირი ბალავარისა, ანუ აბუკურასი. იქნება სადმე აღმოჩნდეს ათ-თხუთმეტ საუკუნეთა გონებრივი ნაღვაწი ჩვენთა წინაპართა და რაიმე ახალი ნათელი მოჰფინოს ჩვენს ძველს ლიტერატურას.

ესომ

# დეპეშა

9 იანვარი

რეველი. ყინულმა ნავთ-სადგური გააუქმა. დატვირთულმა ხომალდებმა მოასწრეს და ზღვაში გავიდნენ; დანარჩენი ხომალდები ვერა ჰბედვენ გავიდნენ. ორი ახლად მოსული გემი ვერ შემოვიდა ნავთ-სადგურში და უკანვე დაბრუნდა. ბალტიის ნავთ-საყუდელი არ გაუყინავს.

სტამბოლი. ოსმალეთის სამხედრო სამინისტრომ გასცა ბრძანება, რომ გააფართოვონ და გაადიდონ არზრუმის სიმაგრენი, რომელიც ეხლა-ხან იყო დამთავრებული. ხმა ისმის, რომ განზრახვა აქვთ არზრუმის მეციხოვნეთა ჯარსაც ახალი ჯარი კიდევ მიუმატონო.

პარიჟი. უკვე გათავდა თითქმის სრულიად ის უსიამოვნება, რომელიც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ უკანონოდ გაუჩხრიკეს სახლი საფრანგეთის ელჩს ფლორენციაში: იტალიის ელჩმა აცნობა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ მეფე ჰუმბერტოს მთავრობა თანხმაა დაამშვიდოს საფრანგეთის ნატკენი გულიო.

ვენა. ის ამბავი, რომელიც «Times»-მა გვაცნობა, ვითომ ყველა წევრნი ავსტრიის სადიპლომატო კრებულისანი წამოვიდნენ სოფიიდამაო, მართალი არ არის. სოფიიდამ წამოვიდა მხოლოდ ავსტრიის მთავარი ელჩი დროებითაო, რადგან შარშან

ოქტომბერშივე დაეთხოვა თავის მთავრობას რამდენისამე ხნითაო.

10 იანვარი

პეტერბურგი. რაკი გარჩევა და განხილვა თუთუნის საქმის გამო შეკრებულ მასალისა საკმაო დროს მოინდომებს, ამიტომ ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ ჰო-არაობისა და უსიამოვნობის ასაცილებლად, 1888-სა და 1889 წლის განმავლობაში იგივე წესი დარჩება თუთუნის ბაჟისა, რომელიც აქამდე არსებობდაო, ესე იგი, ბაჟს საბანდეროლო გარდასახადის შემწეობით მოჰკრეფენო.

გაზეთი «Свѣтъ»-ი გვაუწყებს, რომ ბურღასის ინციდენტი ასე მომხდარაო: აჯანყებულები შესულან ბოლგარიაში და იქ გაყოფილან სამს ნაწილად: 35 კაცამდე ნაბოკოვის წინამძღოლობით ოსმალეთისკენ აოტნეს ბოლგარიის ჯარებმა და იქ დაჰნებდნენ ოსმალეთის ჯარს; 25 კაცამდე დრაქენის წინამძღოლობით შეხვდნენ აგრეთვე ოსმალეთის ჯარს და დაჰნებდნენ; ორივე რაზმი დღეს დაპატიმრებულია ადრიანოპოლში; მესამე რაზმი, რიცხვით 100 კაცამდე, ბოიანოვის უფროსობით, შევიდა ბოლგარიაში. აქ დახვდათ ამათ ბოლგარიის ჯარები, რომელთაგანაც 100 კაცი ბოიანოვისკენ გადმოვიდა, ასე რომ ეხლა ბოიანოვს საკმაო მხედრობა ჰყავს, მაგრამ არის და იმედიცა აქვს გამარჯვებისა.

ხარკოვი. ტეხნოლოგიურს უნივერსიტეტში დაიწყეს ლექციების კითხვა.

ბრიუსელი. გაზეთი «Nord»-ი ამბობს, რომ ვენის ჟურნალ-გაზეთობამ სრულიად უსამართლოდ განმარტა უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც ხელმწიფემ გაუგზავნა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორსაო. ვენის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ვითომ რუსეთს უნდა მხოლოდ დრო მოიგოს და შეთოფ-იარაღება მოასწროს; მაშინ-როდესაც რუსეთის მთავრობამ გადაწყვეტით გამოაცხადა, მშვიდობიანობის დაცვა მსურსო. რუსეთის მწერლობაც ამბობს, რომ ავსტრიის განზრახვანი საეჭვონი არიანო და ამიტომ თვით ავსტრიაც ნაკლებად სანდობიაო. სასურველია, რომ რუსეთის მწერლობაც იმდენად შემცდარი იყოს, როგორც ავსტრიაა შემცდარი რუსეთის შესახებ. ყოველ შემთხვევაში ავსტრია მოვალეა დაამტკიცოს, რომ მან გარდასწყვიტა ბოლგარიის საქმის გარიგების დროს რუსეთის კანონიერი სურვილი სახეში იქონიოს.

11 იანვარი

პეტერბურგი. «Новое Время» გვაუწყებს, რომ 4 იანვარს დამტკიცდა ბაჟის შემოღება სპიჩკებზედაო. შაბათს ფინანსთა სამინისტროში მოლაპარაკება ჰქონდათ ამ ბაჟის შემოღების თაობაზედაო.

როგორც გაზეთები ამბობენ, არხანგელსკის, ვოლოგდისა, ვიატსკისა, ნოვგოროდისა, ოლონეცკისა და პერმის გუბერნიებში, აგრეთვე იმ გუბერნიების ზოგიერთს მხარეშიაც, რომელნიც მდებარეობენ ვოლგის მარცხნივ, სახელდობრ კოსტრომისა, ნიჟეგოროდისა და ყაზანისაში, ამიერ-კავკასიის გუბერნიებშიაც, სტავროპოლის გუბერნიის გარდა, ახალი სატყეო კანონი შემოღებული იქმნება მხოლოდ იმ ტყეთათვის, რომელთ შესახებაც გზათა უწყება იტყვის, რომ ეს ტყეები საჭიროა მდინარეთა და მის შტოთა სათავეების დასაცველადაო. შემოღებული იქმნება იმ ტყეთათვისაც, რომელნიც მიზომილი აქვთ სახელმწიფო გლეხებს მფლობელობის სიგელებითა.

«Новости» გვაუწყებს, რომ იუსტიციის სამინისტროს მოუმზადებია და უკვე წარუდგენია დასამტკიცებლად პროექტი სასამართლოების ცვლილებათათვის ბალტის ზღვის პირა გუბერნიებში.

«Гражданинъ»-ი ამბობს, რომ სპარსეთის შაჰი ამ გაზაფხულზე მოვა რუსეთში და ჰნახავს პეტერბურგსა და ეკატერინბურგსაო. გუშინ გარდაიცვალა დიდის ხნის ავადმყოფობის შემდეგ ეპისკოპოსი ეკატერინბურგისა ნათანაილიო.

ნავთის ფასმა დაიწია 37, 38 კაპიკამდე ფუთზე. ერთის კვირის წინად 65 კაპ. იყო ფუთი ნავთი.

პეტერბურგის ბირჟა 8 იანვარი.

| | მყიდველნი სა. | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო | — ,, | — ,, | 9 24 |
| ტამოჟნის კუპონები | — ,, | — ,, | 184¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | 1 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 266¾ |
| — მეორისა | — ,, | — ,, | 250¾ |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 98½ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა | 98½ | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

«ივერიის» ფოსტა

გორს. ს. მ—შვილს. დავბეჭდავთ. შემდეგს წერილებსაც ველით.

ქუთაისს. ს. გ—ას. თქვენი წერილები არ დაიბეჭდება.

ახალ-სენაკს. პ. ხ. გ—იას. ზოგიერთი ნომერი მოიპოვება. ფასი ზედვე აწერია— ნომერი ღირს ერთი შაური.

<>

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე 14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე 4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

იანვარი 31 დღით არის.

12 დღე სამშაბათი. წმ. ტატიანესი პეტრესი და სავასი. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12. ტფილისში მზე-ამოდის 7—20, ჩადის 5—5. ღთვარე 12 დღისაა.

13 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. ერმილესი და სტრატონიკისა. სომეხ. ალების ღამე არაჯოვარაცის მარხვისა. ნახატონაქი. მუსულ. მე-11 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე-ამოდის 7-19, ჩადის 5—6. მთვარე 13 დღისაა.

14 დღე ხუთშაბათი. მოციქულთა სწორის საქართველოს განმანათლებელის ნინასი. კათოლ. წმ. გილიარისა და ეპისკ. ფელიქსესი. სომეხ. შობა იოანე წინა-მორბედისა. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—19, ჩადის 5—7. მთვარე 14 დღისაა.

15 დღე პარასკევი. ღირსისა პავლესი და იოანე მღვიმელისა. კათოლ. წმ. აღმს. პავლესი და წმ. აბბა. მავრასი. სომეხ. მარხვა მუსულ. მე-13 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—18, ჩადის 5—8. მთვარე 15 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შევლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 3 | უვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| უვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | | | | |
| | საღამოთი | | | | | საღამოთი | | | |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| საჯავახო | 8 | 5 | 8 | 7 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 39 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| | | | | | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

### ტფილისსა და სურამ შუა

| | დილით | | | | | დილით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპია | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთ | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . . 3 »
» 2 » 2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 »
» » 2— 3½ »
» » 3 » 3
ძროხის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 »
მე-2 ხარისხისა . . 4 »
მე-3 — . . . » »
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 »
» 2 » 7 »
სუკი . . . . 14 »
მროხის ხორცი . . . 8 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. 7 »
» 2 » 6 »


## განცხადებანი

—

კავკასიის პირველი ფაბრიკა ხეზე-წასასმელ ლაქისა, საბეჭდავ ლუქისა და პოლიტურისა.

გაჰქვს პატივი გაცნობოთ ბბ-ნს ვაჭრებს და მხმარებლებს ლაქისას, ლუქისას და პოლიტურისას, რომ ჩვენს ფაბრიკას აქვს ყოველ გვარის ღირსებისა და სიკეთის საქონელი, რომელიც არც ერთის სხვა ამ გვარ ფაბრიკის საქონელს არ ჩამორჩება. ფასი ზომიერია. ფაბრიკა მუშტარს დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს. თუ მუშტარს შორს სადმე ეგზავნება საქონელი, ფაბრიკა დიდის სიფრთხილით შეახვევს ნასყიდ საქონელს გასაგზავნად თვით მეფაბრიკეს ხელ-მძღვანელობით.

დაწვრილებით ჩვენის საქონლის შესახები ცნობანი მოხსენებულია პრეისკურანტში, რომელიც უსასყიდლოდ ურიგდება და ეგზავნება მსურველთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებლების მუშტრის სურვილს ფაბრიკა დაუყოვნებლივ და დიდის გულ-მოდგინებით ასრულებს.

ადრესი ტფილისის გარეშე მცხოვრებელთათვის:

ТИФЛИСЪ.

Первая Кавказская лаковая, сургучная и политурная фабрика.

*Елизаветинская ул., домъ Читахова, № 25.* (20—8)

КОФЕ ФАБРИКИ С. СІУ и К° ЛЮБИТЕЛЕЙ (50—6)


## ტფილისის საქალაქო გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს: რადგან შეიძლება წყლის მყიდველთ ყალბის მარკების შემწეობით ზიდონ წყალი, ამიტომ გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ არ მიეცეთ წყალი იმათ, ვინც სრულიად მარკის წიგნს არ წარუდგენს მილებთან დაყენებულს მოხელესა. თუ მხოლოდ მოგლეჯილი მარკა მიიტანეს, წყალს არ მისცემენ. მარკა თვით მოხელის თვალ-წინ უნდა ამოგლიჯონ წიგნიდგან, იმ ფასისა, რა ფასისაც წყლის წაღება უნდათ. (3—2)

Доз. цен. Тиф. 11 января, 1888 г. Типографія А. А. Михельсона, на Гол П.роспект въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე